საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/598
02/02/2023

598-21-2-202302021534

შპს „მარნეულის სოკოს“
მის: მარნეული, სოფ. ჯანდარი
ელ. ფოსტა: t.gasanova888@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის №7677 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯანდარში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების სატიტულო გვერდზე მითითებულია „სოკოს საწარმოს სკრინინგის განცხადება.“ ამასთან, განცხადების წარდგენის საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 5.1 ქვეპუნქტი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება). შესაბამისად, სკრინინგის განცხადების სატიტულო გვერდი საჭიროებს კორექტირებას და საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სკრინინგის განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის ანგარიში ძირითადად მოიცავს სოკოს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის - ტორფის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესისა და საქმიანობის წარმადობიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ამასთან ტექნოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობების ჩამონათვალში ასევე მითითებული უნდა იყოს საცერი (შესაბამისი მახასიათებლებით). გარდა ზემოაღნიშნულისა სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს წლის განმავლობაში გადასამუშავებელი ნედლეულის (ტორფი) მოცულობა და ტორფის გამდიდრებისთვის გათვალისწინებული კირქვის მოცულობა ($მ^3$ ან ტ);
- დოკუმენტში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდებიდან ერთი (83.02.11.246) წარმოადგენს შარიხან ველიევის საკუთრებას, ხოლო ორი (83.02.11.001 და 83.02.11.242) ფირუზ რზაევის საკუთრებას. ამასთან, მიწის ნაკვეთის

საკადასტრო კოდზე (83.02.11.246) გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის (ტორფის) საწყობისა და გადასამუშავებელი მოედნის მოწყობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შარიხან ველიევის საკუთრებას. სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი. გარდა ამისა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (83.02.11.24242) საჭიროებს კორექტირებას;

- წარმოდგენილი შენობის კუთხეთა GPS კოორდინატები პირველ და მეორე ცხრილში (გვ. 6 და გვ. 7) იდენტურია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის თანახმად, მარნეული და შემოგარენი მდიდარია კულტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, თუმცა წარმოდგენილი არ არის მანძილი უახლოეს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლამდე.
- საწარმოს ჩამდინარე წყლების თავში (გვ. 33) წარმოდგენილი ჩანაწერი „500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმი“ (500 კვ ეგხ „მუხრანი“-ს №42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) მშენებლობის 6 თვიან პროცესში გამოყენებული წყლის რაოდენობა ტოლი იქნება $Q\Sigma = Qდღ \times 183 = 345.9$ მ^3.“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო